საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის

განკარგულება

02/11/2026 N 406

თბილისი

შპს „მ +“-ის ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის, „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 9 ივლისის N167/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ და „ი“ ქვეპუნქტების და მე-4 პუნქტის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2026 წლის 25 მარტის N72/04 ბრძანების საფუძველზე:

1. გაუქმდეს შპს „მ +“-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი 405286088) ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაცია სარეგისტრაციო ნომრით ვგპ-0135014, მისამართზე: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N41;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „მ +“-ს ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაციის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2018 წლის 5 ოქტომბრის N645 განკარგულება;
3. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64), მხარისათვის მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
4. განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის მისი გაცნობისთანავე.

ნინო ჯელაძე

ვიცე-პრეზიდენტი
საქართველოს ეროვნული ბანკი